07/09/2026

MES 0 26 0001160135

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა:
თეიმურაზ ცაკაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა:
იანა ჩადუნელი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლა:
ეკატერინე ენდელაძე - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა:
მამუკა თედიაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა:
ა) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხატია მჭედლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო თედიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გაბოშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლა:
ა) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიხეილ გაფრინდაშვილი(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სხვა დამსწრე პირები ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით:
ვლადიმერ რობაქიძე - მშობელი;
თამარ ვეზირიშვილი - მშობელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 21 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ- ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 30 ივნისის N825432, 6 ივლისის N876103 და 10 ივლისის N905687 კორესპონდენციების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის თანამშრომელმა, განმარტა, რომ 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის 1-ელ ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, დღის წესრიგს დამატებოდა 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის 1-ელ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის 1-ელ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 30 ივნისის N825432, 6 ივლისის N876103 და 10 ივლისის N905687 კორესპონდენციების განხილვა.

1. 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის 1-ელ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის 1-ელ ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, კენჭისყრის შედეგებში მითითებული იყო, რომშპს სკოლა გრაალის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საბჭოს 11 წევრმა, ხოლო წინააღმდეგი იყო 0 წევრი. ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, ვინაიდან საბჭომ მიიღო გაუქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ოქმში კენჭისყრის შედეგები არასწორად იყო ასახული და უნდა დაფიქსირებულიყო მომხრე - 0, ხოლო წინააღმდეგი - 11.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის 1-ელ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 17 აგვისტოს N1055700 ოქმის
1-ელ ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**1. შპს სკოლა გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კესო ბოყოველმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ირაკლი გამრეკელის ქუჩა N51-ში. აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 43. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 მაისს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი თქმით, ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის 21 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შესული კორესპონდენცია, რომელსაც თან ერთვოდა განცხადება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს სკოლა გრაალის მიერ მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ.

ექსპერტმა ისაუბრა კორესპონდენციაში ასახული ინფორმაციის შესახებ და აღნიშნა, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა არასრულწლოვანს, რომელიც 2026 წლის 13 მარტს დაზარალებულად იქნა ცნობილი თბილისის პროკურატურის არასრულწლოვნების საქმეთა სამმართველოს პროკურორის დადგენილებით. განმცხადებლის საჩივრის თანახმად, 2026 წლის 11 მარტს, დაახლოებით 15:30 საათზე, შპს სკოლა გრაალში მივიდა მოსწავლე, რომელიც კერძოდ ემზადებოდა ამავე სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელთან, მათემატიკაში. სკოლაში მისულმა მოსწავლემ საკლასო ოთახიდან, რომელიც გადიოდა ეზოში, დაინახა აღნიშნული მასწავლებელი და მასთან ერთად მყოფი, იმავე სკოლის მათემატიკის სხვა მასწავლებელი (გ.ბ), რომლებიც იღებდნენ ალკოჰოლურ სასმელს და იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში. საჩივრის თანახმად, მოსწავლე გაემართა თავისი მასწავლებლის (რომელთანაც დამატებით ემზადებოდა მათემატიკაში) მიმართულებით, რა დროსაც მას (მოსწავლეს) ხელი ძლიერად მოჰკიდა მეორე, მისთვის უცხო მასწავლებელმა, მან რამდენჯერმე დაატყა ბავშვს ხელი თავის არეში, ძლიერად მოუჭირა ხელზე, რის შედეგადაც მოსწავლემ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

საჩივარში ასევე ასახულია, რომ მეორე მასწავლებელს (რომელმაც მიაყენა ფიზიკური დაზიანება მოსწავლეს) წარედგინა ბრალი და აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა. მასწავლებელი გამოკითხვისას მიუთითებდა, რომ იყო ძალიან ნასვამი და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით არაფერი ახსოვდა. იგი იმდენად ნასვამი იყო, რომ სახლისკენ მიმავალი წაიქცა ქუჩაში და მიიღო სხეულის ზედაპირული დაზიანება. ასევე, მათემატიკის ის მასწავლებელი რომელიც კერძო გაკვეთილებს უტარებდა მოსწავლეს, გამოკითხვისას მიუთითებდა, რომ იყო ძალიან ნასვამი, არაფერი ახსოვდა, ჩაეძინა სკოლაში და როცა გაიღვიძა, წავიდა სახლში, ექსპერტის განმარტებით, მასწავლებელმა აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ექსპერტებთან გასაუბრების დროსაც.

საჩივრის ავტორი დამატებით აღნიშნავდა, რომ შპს კერძო სკოლა გრაალში 2026 წლის 11 მარტს კამერები არ მუშაობდა, და ვერ მოხერხდა მომხდარი ფაქტის შესახებ ჩანაწერების ნახვა. საჩივარში ასევე აღნიშნული იყო, რომ მასწავლებლის მიერ სკოლაში ალკოჰოლური სასმელის მიღების ფაქტზე რეაგირების მიზნით სკოლის დირექტორს გაეგზავნა წერილი, რის პასუხადაც სკოლა განმარტავდა, რომ გ.ბ-ს დროებით შეუჩერდა ხელშეკრულება, ხოლო მათემატიკის მეორე მასწავლებელს გამოუცხადეს სიტყვიერი გაფრთხილება. საჩივრის ავტორის თქმით, სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად მკაცრი და არ შეეფერებოდა ჩადენილი კანონმსაწინააღმდეგო ქმედების ხარისხს და განმცხადებელი ითხოვდა სკოლის მხირდან მომხდარიყო შესაბამისი რეაგირება, მასწავლებელი გათავისუფლებულიყო სკოლიდან, გადაემოწმებინათ აღნიშნული მასწავლებელი ასწავლიდა თუ არა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და გათავისუფლებულიყო იქედანაც და ექსპერტებს შეესწავლათ რამდენად პასუხობდა სკოლა გრაალი მოსწავლეთა უსაფრთხოების სტანდარტებს.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ საჩივარში დაფიქსირებული ინფორმაციისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი დაწესებულებაში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული ფაქტები, ასევე ვიზიტის განხორციელების ეტაპზე გამოვლენილი, მონიტორინგის საფუძვლების ირგვლივ არსებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ვიზიტის დაწყებისთანავე, ექსპერტთა ჯგუფი დაუკავშირდა არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს და დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზნით გაესაუბრნენ მას. მშობლის განცხადებით, მისთვის მნიშვნელოვანი იყო, სკოლაში შემოწმებულიყო უსაფრთხოების ნაწილი სრულად, რათა მისი შვილის მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყვნენ სხვა მოსწავლეები. ექსპერტის თქმით, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა:

- სკოლის ორგანიზაციული მოწყობა, სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების საკითხი;
- პერსონალის კვალიფიკაცია
- სკოლაში მოქმედი გასაჩივრების მექანიზმები;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მოსწავლეების უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მექანიზმი;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, მათ შორის: ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობა, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური დაცვის საკითხები, საზოგადოებრივი წესრიგისა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები და წინამდებარე პროცესებთან მიმართებით განხორციელებული პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგები;
- ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის საკითხი. ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, ინტერვიუ განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, დირექციასთან, მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათ შორის არასრულწლოვანის დედასთან, მათემატიკის იმ მასწავლებელთან რომელიც კერძო გაკვეთილებს უტარებდა მოსწავლეს და სკოლის მოსწავლეებთან.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, წარმოადგინა ვიზიტის დროს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

1. არასრულწლოვანის მშობელმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ როდესაც მისი შვილი მივიდა სკოლაში, 2026 წლის 11 მარტს, მათემატიკის მასწავლებლის და მასწავლებელ - გ.ბ-ს გარდა, სკოლის ტერიტრიაზე არ იმყოფებოდა არავინ. სკოლის დირექციამ განმარტა, რომ სკოლაში 09 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით იყო საგაზაფხულო არდადეგები, რაც დასტურდებოდა სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის კალენდარით. ასევე, დირექტორის განმარტებით არდადეგებიდან გამომდინარე, ის არ იმყოფებოდა ქალაქში. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ სკოლის ეზოში იყო მხოლოდ დირექტორის მოადგილე, რომელიც ასევე მიემგზავრებოდა სხვა ქალაქში, შესაბამისად, თვითონაც მალევე დატოვა სკოლის ტერიტორია;
2. არასრულწლოვანი, რომელზეც განხორციელდა ძალადობის ფაქტი არ წარმოადგენდა შპს სკოლა გრაალის მოსწავლეს - აღნიშნული საკითხი დაადასტურეს როგორც სკოლის წარმომადგენლებმა, ასევე, არასრულწლოვანის მშობელმა. მან განმარტა, რომ მათემატიკის მასწავლებელთან მის შვილს ამზადებდა დაახლოებით სამი წელი და ამ მიზნით დადიოდა ბავშვი სკოლა გრაალის შენობაში, თუმცა, მსგავსი ფაქტი წარსულში არასდროს მომხდარა;
3. 2026 წლის 11 მარტს, ფაქტის დადგომის დღეს, არ მუშაობდა სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემა და კამერები - სკოლის დირექციამ დაადასტურა საჩივარში

აღნიშნული წინამდებარე გარემოება და გასაუბრებისას განმარტა, რომ ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს - დირექტორის მოადგილეს, დაავიწყდა სისტემის ჩართვა; გასაუბრებისას, ასევე, დადგინდა, რომ სკოლას არ განუხორციელებია კამერების გათიშვის საკითხის მოკვლევა, არ აქვს ჩატარებული დისციპლინური წარმოება, არ აქვს ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტება ან/და შესაბამისი სახდელის დაკისრების გადაწყვეტილება. შესაბამისად სკოლას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულებაც.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) კომპონენტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მიმართ დაფიქსირებულ ხარვეზებზე, კერძოდ,

- სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული;
- სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვეოდა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას;
- სკოლა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას;
- სკოლა ვერ უზრუნველყოფდა პირველადი დახმარების აღმოჩენას;
- სკოლას არ ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წერილი,;
- სკოლაში არ იყო დაცული ინდივიდუალური ავტორიზაციისა და ავთენტიკაციის პრინციპი და სკოლის თანამშრომელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) საქმიანობას ახორციელებდა სხვა პირის მომხმარებლის პროფილის გამოყენებით. სკოლის მიერ არ განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების სრულყოფილად წარდგენა;
- სკოლა სრულყოფილად არ ახორციელებდა ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელთა ნაწილიც გაზიარებულ იქნა ექსპერტების მიერ, ხოლო გარკვეული კომპონენტები ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით. მისი თქმით, სკოლამ სრულად აღმოფხვრა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზები 3.4.1.4 და 3.4.1.5 ინდიკატორებთან მიმართებით, 3.5.1.4 და 3.1.2.3 ინდიკატორები შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მესამე სტანდარტის სხვა ინდიკატორები დარჩა უცვლელი და შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა ორი რეკომენდაცია, მათ შორის ერთი ეხებოდა ინკლუზიური გარემოს მოწყობას, ხოლო მეორე რეკომენდაცია მასწავლებელთა კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენას. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევებიც, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, აღნიშნული მასწავლებელი კვლავ აგრძელებდა თუ არა საგანმანათლებლო საქმიანობას. ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს მათემატიკის მასწავლებელს გამოცხადებული ჰქონდა საყვედური, თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობას აგრძელებდა დაწესებულებაში, მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რატომ არ გამოიყენა სკოლამ მათემატიკის

მასწავლებელთან მიმართებით შინაგანაწესში გაწერილი რეგულირება, რომლის თანახმადაც დისციპლინური პასუხისმგებლობის წინა ზომების გამოყენების გარეშე, დასაქმებული სამსახურიდან პირდაპირ გათავისუფლდება, სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში. მისი თქმით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ, ფაქტი მოხდა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში, მოსწავლეები არ იმყოფებოდნენ სკოლაში და შესაბამისად მათ მიერ გატარებული ღონისძიებები, კერძოდ, მათემატიკის მასწავლებელზე დაკისრებული სახდელი მიიჩნიეს საკმარის ზომად.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა უსაფრთხოებას და დახარვეზებული იყო ძირითადად ყველა ის ინდიკატორი, რომელიც შემოწმდა ექსპერტების მიერ, შესაბამისად, დაინტერესდა, რამ გამოიწვია აღნიშნული ხარვეზები და მათი სიმრავლე.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ექსპერტის მხრიდან ითხოვა მეტი განმარტება, კერძოდ, აღნიშნული მასწავლებელი სკოლის შენობაში რის საფუძველზე ამზადებდა მოსწავლეებს, ასევე, მომზადება ხდებოდა გაკვეთილების შემდეგ თუ პარალელურ რეჟიმში. ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ სკოლას მასწავლებლის მიმართ ქვექირავნობით ჰქონდა მიქირავებული ფართი, თუმცა ექსპერტებს არ უნახავთ ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულება. ექსპერტის თქმით, მასწავლებელი მოსწავლეებს კერძოდ ამზადებდა საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ.
სკოლის დირექტორმა, მარიამ სახელაშვილმა, აღნიშნა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო, თუ რატომ დარჩა ხარვეზად ის კომპონენტები, რომლებიც სკოლას ასახული ჰქონდა შესაბამისობის გეგმაში, მისი თქმით, აღნიშნული შესაბამისობის გეგმა წარმოდგენილი იყო ამობეჭდილი სახით და სავარაუდოდ, ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, თუმცა აღნიშნული გარემოება არ იყო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაზიარებული. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას გამოსწორებული ჰქონდა ცნობებთან, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემასთან, ბიბლიოთეკასა და კიბესთან დაკავშირებული ხარვეზები. აქვე დასძინა, რომ დაწესებულებას ქვექირავნობით გაქირავებული ჰქონდა ერთი ოთახი, რომელშიც მათემატიკის მასწავლებელი კერძოდ ამზადებდა მოსწავლეებს და აღნიშნული ხელშეკრულება მიაწოდეს ექსპერტთა ჯგუფსაც.
დირექტორის თქმით, მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სკოლა არ არის ვალდებული კამერები ჩართულ მდგომარეობაში ჰქონდეს მაშინ, როდესაც არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, როგორც დირექტორმა აღნიშნა აღნიშნული ინციდენტი მოხდა არდადეგების დროს, შაბათ დღეს, გ.ბ-სთან შეწყვეტილი იყო შრომითი ხელშეკრულება, ხოლო მათემატიკის მეორე მასწავლებელს გამოეცხადა საყვედური, ვინაიდან მანამდე მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ამასთან, მოსწავლე არ სწავლობდა შპს სკოლა გრაალში. მისი თქმით აღნიშნული მასწავლებელი ასწავლიდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაშიც, ექსპერტები დაუკავშირდნენ იმ სკოლის დირექტორსაც, რომელმაც დაადასტურა, რომ მასწავლებლის მხრიდან მსგავს გადაცდომას არასდროს ჰქონია ადგილი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელ სკოლაში სწავლობდა მოსწავლე, მომხდარი ფაქტი იყო სრულიად მიუღებელი.სკოლის დირექტორის თქმით, გ.ბ-ზე გამოტანილი არ იყო გამამტყუნებელი განაჩენი, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა იყო გამორთული, სკოლის წარმომადგენლებსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა რეალურად.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ არ დაფიქსირებულა მხოლოდ ერთი ხარვეზი, არგუმენტი, იმის თაობაზე, რომ მინისტრის ბრძანებით სკოლას აღნიშნული არ ევალებოდა, მისაღები იყო, თუმცა, სკოლის მიმართ დაფიქსირებული იყო ასევე სხვა მრავალი ხარვეზიც. სკოლის დირექტორის თქმით, იმ დროს, როდესაც სკოლაში განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი, მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესი და შესაბამისად, გარკვეული დოკუმენტაცია დროულად ვერ მიაწოდეს ექსპერტთა ჯგუფს, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარვეზები. მისი თქმით, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, სკოლამ ცენტრში გააგზავნა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ნამდვილად მიეწოდა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, თუმცა, ვინაიდან გამოიკვეთა დამდგარი ფაქტები, ექსპერტების მხრიდან არ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის სრულად გაზიარება. სკოლის დირექტორმა, მარიამ სახელაშვილმა, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობის პერიოდისთვის სკოლას აღმოფხვრილი ჰქონდა ყველა ხარვეზი, ამასთან, დაწესებულებამ დაამატა ორი ვიდეოკამერა, ასევე, ექიმის კაბინეტში დამონტაჟდა სველი წერტილი და კიბის უჯრედებზე დამონტაჟდა პანდუსი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რატომ დაიწყო სკოლამ მსგავსი ხარვეზების გამოსწორება ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ და არ იყო აღმოფხვრილი მანამდე, სასწავლო პროცესის დროს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაფიქსირდა აღმასრულებელ დირექტორთან მიმართებით ხარვეზი, მისი თქმით ის იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი და თავს მოიხსენიებდა როგორც აღმასრულებელი დირექტორი, თუმცა, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლის აღმასრულებელ დირექტორს წარმოადგიენდა მარიამ სახელაშვილი, emis-ის ბაზასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სისტემაში ფიქსირდებოდა ყოფილი თანამშრომლის პროფილი, თუმცა აღნიშნულიც აღმოფხვრილი იყო სკოლის მხრიდან. მან კვლავ გაიმეორა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო, თუ რატომ დარჩა ხარვეზად ის კომპონენტები, რომელიც სკოლას გამოსწორებული ჰქონდა ან/და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის ყველა მშობელი კმაყოფილი იყო დაწესებულების მიერ მიწოდებული განათლებით და სერვისით. მისი თქმით, დაწესებულება ფუნქციონირებდა 16 წლის განმავლობაში და სკოლის ხელმძღვანელობა მუდმივად ცდილობდა მის განვითარებას, მისთვის მნიშვნელოვანი იყო ახალი ხედვების და მიდგომების დანერგვა სკოლაში. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ორი მანდატური, დარაჯი, ფსიქოლოგი, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყო შესაბამის უწყებასთან, მისი თქმით სკოლის ფუნქციონირების პერიოდში, მსგავსი ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, საბჭოს სხდომას ესწრებოდა თუ არა მომჩივანი მხარე.
მომჩივანი მხარე არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.
სკოლის დირექტორმა, მარიამ სახელაშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს მოუჭირა ხელზე, თუმცა ცემის ფაქტი არ დადასტურებულა. მისი თქმით, არსებობდა ექსპერტიზის დასკვნაც და აღნიშნული ინფორმაცია საბრალდებო დასკვნაშიც იყო ასახული. დირექტორი აღნიშნავდა, რომ სკოლისთვის სრულიად მიუღებელი იყო ძალადობა და ასევე მიუღებელი იყო, რომ მასწავლებელი სკოლის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა გრაალის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:22

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-11 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა გრაალს (ს/კ: 404901166) გაუუქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 07 აგვისტო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭო ეყრდნობოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა შეაფასეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და ექსპერტთა შეფასება, საქმისთვის არსებული გარემოებები და დაადგინა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები დარღვეული იყო მძიმე ფორმით. მათ შორის, უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა, რაც საფრთხეს უქმნიდა საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელებას. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული გარემოებების დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და შესაძლო შედეგების გათვალისწინებით ავტორიზაციის საბჭომ მიიღო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრა იმავე დღე, 2026 წლის 07 აგვისტო. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს განუმარტა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა.“

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. იქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა

ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროექტები, უზრუნველყოფილი იყო პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა ძლიერი ადმინისტრაციული რესურსი.
ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო ადაპტირებული, მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, იმ შენობაში, სადაც სკოლა აგრძელებდა საქმიანობას, ფუნქციონირებდა თუ არა სხვა დაწესებულებაც. ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ, აღნიშნა, რომ შენობაში დღის პირველ ნახევარში განხორციელდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა, ხოლო დღის მეორე ნახევარში - პროფესიული. მისი თქმით, ექსპერტთა ვიზიტის დროს, შენობასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა ხელშეკრულების გაფორმება პროფესიულ კოლეჯსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის დაწყებული ჰქონდა თუ არა სკოლას მუშაობა. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლა ეტაპობრივად ითვალისწინებდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებს და უახლოეს მომავალში აღმოიფხვრებოდა თითოეული მათგანი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.
სკოლის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სკოლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უზწყვეტობის მიზნით, მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 21 აგვისტო.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო -14:51
დასრულების დრო - 14:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, მე-20 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლას (ს/კ: 443854189) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა N15
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა N15
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ხაშური, ახალი ბანას ქუჩა N15

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 აგვისტო.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების, სკოლის მიერ შენობა-ნაგებობის მფლობელობის დადასტურების მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ და რუსულ ენებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2400. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში და იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა ახლად აშენებული შენობის სარგებლობაში მიღება.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა სივრცე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა სკოლის მიმართ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციით, კერძოდ, რა იგულისხმებოდა საპირფარეშოების პრივატულობის უზრუნველყოფაში. ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ სველ წერტილებში კარები მოწყობილი იყო ისე, რომ რთული იქნებოდა პრივატულობის დაცვა, ასევე, ახალ შენობაში პისუარებზე იყო ტიხრები მოსაწყობი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ, დასკვნის გაცნობის შემდგომ წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საზღვარგარეთ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით აღიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც საბჭომ მიიღო ცნობად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო -15:12
დასრულების დრო - 15:17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 245428979) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული რუსული	ქალაქი ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული რუსული	ქალაქი ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული რუსული	ქალაქი ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა)

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში დაწყებით საფეხურზე (ქართული და რუსული) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის და მე და საზოგადოების, დაწყებით საფეხურზე (ქართული) ბუნებისმეტყველების, საბაზო საფეხურზე (რუსული) - ,,ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)'', საშუალო საფეხურზე (რუსული) - არჩევითი საგნის - ხელოვნების ისტორიის, საბაზო საფეხურზე (ქართული) - ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმების, კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, ვიდეომონიტორინგის სისტემის დამონტაჟების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვის, სკოლის საპირფარეშოებში პრივატულობის უზრუნველყოფის, სკოლის ეზოში არსებული ახალი შენობის სკოლის სარგებლობაში ოფიციალურად გადაცემის და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვების, ახალი შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების და შესაბამისი ამონაწერის მომზადების, სკოლის შენობების სრულად ადაპტირების, ასევე, მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა მამფორიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ და რუსულ ენებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1800. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა მრავალფეროვანი ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის სპექტაკლები, ასევე, სკოლას ჰქონდა მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი ინიციატივით შექმნილი ხელნაწერი და ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“.

ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) სტანდარტი (ქართული სექტორი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) ასევე, რუსული სექტორის საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა „მეტწილად“, ხოლო რუსული სექტორის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი გარემო. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა რეკრეაციული ეზო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, დასკვნის გაცნობის შემდგომ, რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ. სკოლის დირექტორმა, ეკატერინე ენდელაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა რეკომენდაციების გათვალისწინებაზე აქტიური მუშაობა და რიგი რეკომენდაციები სკოლას უკვე გათვალისწინებული ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -15:41
დასრულების დრო - 15:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007857) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული; რუსული	ქალაქი თბილისი, თემქის მე-3 მიკრო, მე-3 კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული; რუსული	ქალაქი თბილისი, თემქის მე-3 მიკრო, მე-3 კვარტალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული; რუსული	ქალაქი თბილისი, თემქის მე-3 მიკრო, მე-3 კვარტალი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ჭადრაკის მოწვეული მასწავლებლებისთვის კანონმდებლობის შესაბამისი საგნობრივი დატვირთვის განსაზღვრის, ქართული სექტორის, დაწყებით საფეხურზე, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ჭადრაკის მასწავლებელის დასაქმების, სპეც მასწავლებლის პოზიციაზე კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიციური

კადრის დასაქმების, **2027 წლის ივლისში** სკოლის მესამე ფლიგელის უსაფრთხო და სათანადო ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი სამუშაოების განხორციელების, შიდა სასკოლო სივრცის სრულად ადაპტირებისა და ვებ-გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის ქართულ და რუსულ ენებზე განთავსების, ასევე, მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 30 ივნისის N825432, 6 ივლისის N876103 და 10 ივლისის N905687 კორესპონდენციების განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს განუმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სახალხო დამცველის აპარატისგან შემოვიდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა მშობლის, ვლადიმერ რობაქიძის განცხადების საფუძველზე განხორციელებული მოკვლევის შედეგებს. მისი თქმით, მსგავსი შინაარსის წერილი განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრშიც (20 მაისის კორესპონდენცია), რომელსაც საბჭო გაეცნო 2026 წლის 27 მაისს ჩატარებულ სხდომაზე, ვლადიმერ რობაქიძის 2026 წლის 18 თებერვლის საჩივრის განხილვისას. ასევე, დამატებით, 2026 წლის 06 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს აუდიტის სამსახურიდან შემოვიდა კორესპონდენცია, წერილში განმცხადებელი ასახავდა იმ გარემოებებს, რომელიც ხსენებულ კორესპონდენციებში იყო აღნიშნული. ამასთან 2026 წლის 10 ივლისს ცენტრში კვლავ შემოვიდა ვლადიმერ რობაქიძის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მისი პირველი საჩივრის (2026 წლის 18 თებერვლის კორესპონდენცია) შედეგების მიუხედავად სკოლამ უარი განაცხადა შინაგანაწესის შესაბამისად რეაგირებაზე და ასევე არ მიიღო საჩივარი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატის წერილშია აღწერილი.
განმცხადებელმა, ვლადიმერ რობაქიძემ, აღნიშნა, რომ 2025 წლის ნოემბრის თვიდან, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის მასწავლებელმა განმცხადებლის შვილს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და უთხრა - „ორი თითით მოგგუდავ“, რომელიც სკოლის სხდომის ოქმში აღწერილი იყო როგორც მოსწავლის მოფერება. მისი თქმით, აღნიშნულის შემდგომ, მშობელი გაესაუბრა როგორც მასწავლებელს, ასევე დირექტორს, თუმცა მასწავლებელი უარყოფდა მსგავს ფაქტს. მშობელმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად ამ ყველაფერს უკავშირებდნენ არასრულწლოვნის ფანტაზიას, თუმცა, შემდგომ, 2026 წლის 13 თებერვალს, როდესაც მოსწავლე მშობელს უნდა გამოეყვანა გახანგრძლივებული სწავლებიდან, მასწავლებელი უხეშად მიმართავდა არასრულწლოვანს, რამაც გამოიწვია მშობლის გაღიზიანება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ეს დეტალები საბჭოსთვის ცნობილი იყო 2026 წლის 27 მაისს გამართულ საბჭოს სხდომაზეც და დაინტერესდა, ცენტრში წარმოდგენილ კორესპონდენციაში რა ახალ გარემოებებს ასახავდა მშობელი. მშობელმა, ვლადიმერ რობაქიძემ, აღნიშნა, რომ იგი საუბრობდა 20 მაისს მომხდარ ფაქტზე. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბჭო 20 მაისს მომხდარ ფაქტზეც ინფორმირებული იყო. აქვე დასძინა, რომ საბჭოს წევრები ეყრდნობოდნენ ექსპერტთა შეფასებას და სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას. მისი თქმით, აღნიშნულ გარემოებებზე იმსჯელა საბჭომ და დაწესებულებაში შეწყდა მონიტორინგის წარმოება, ვინაიდან გამოვლენილი საკითხები სცდებოდა საბჭოს კომპეტენციასა და უფლებამოსილებას.
მშობელმა, თამარ ვეზირიშვლმა, აღნიშნა, რომ მას მასწავლებელთან არასდროს ჰქონია პრობლემა, მას დამრიგებელი გაფრთხილებული ჰყავდა, რომ როდესაც ბავშვს მიაკითხავდა მამა ან ბებია, შეეძლო მათთვის გაეყოლებინა არასრულწლოვანი. მშობლის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ბავშვი სხვა სკოლაში გადაიყვანეს, ყველაფერი უფრო ნათელი გახდა მათთვის.

ბავშვი მუდმივად ადარებდა ახალ და ძველ მასწავლებელს და ამბობდა, რომ იგი მუდმივად ეჩხუბებოდა, ხოლო ახალი არა. მისი თქმით, სკოლის დამოკიდებულება იყო იმგვარი, რომ მომხდარ გარემოებაში დამნაშავეები იყვნენ მშობლები და ბავშვი და არა მასწავლებელი. მშობლის თქმით, იგი უშუალოდ სკოლაში მომხდარ ფაქტს არ შესწრებია, თუმცა ზიანი მიადგა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათი კარგი მშობლობა დადგა ეჭქვეშ და საქმეს იკვლევდნენ სოციალური სამსახურის თანამშრომლები.
მშობელმა, ვლადიმერ რობაქიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის სხდომის ოქმში იკითხებოდა, რომ მოსწავლის მშობლები იყვნენ განქორწინებული. მისი თქმით, აღნიშული სხდომის ოქმი მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოსაც, რითაც დაირღვა მათი პერსონალური მონაცემები. მისი თქმით, სკოლა ცდილობდა, რომ დამნაშავეები ყოფილიყვნენ მშობლები და არა მასწავლებელი, სკოლას მასწავლებლის მიმართ არ გამოუცხადებია შენიშვნაც კი, რაც მშობლის თქმით იყო ძალიან მძიმე დარღვევა.
სკოლის დირექტორმა, მამუკა თედიაშვილმა, აღნიშნა, რომ სოციალური სამსახურისთვის სკოლას არ მიუმართავს. მისი თქმით, გამოვლენილი გარემოებების უკეთ გაცნობისთვის იგი გაესაუბრა ორ მშობელს, რომელთაც აღნიშნეს, რომ მათ მასწავლებლის მიმართ არასდროს ჰქონიათ პრობლემა. სკოლის დირექტორის თქმით, თავად გაესაუბრა მშობელს, ვლადიმერ რობაქიძეს და უთხრა, რომ 2026 წლის აგვისტოს თვეში კიდევ ერთხელ შეიკრიბებოდნენ სკოლის წარმომადგენლები და განიხილავდნენ აღნიშნულ ფაქტს. მან აღნიშნა, რომ სრულად ესმოდა მშობლის გაღიზიანება, თუმცა, მეორე მხარეს იყო მასწავლებელი, რომელიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მისი თქმით, მშობელმა, მომხდარი ფაქტის მეორე დღესვე მიმართა პოლიციას, სკოლის დირექტორი კი თვლიდა, რომ უმჯობესი იყო ჯერ მიემართა სკოლის დირექციისთვის და ერთად აღმოეფხვრათ გამოვლენილი პრობლემა.
მშობელმა, განმარტა, რომ მისი შვილი გაესაუბრა როგორც ფსიქოლოგს, ასევე სოციალური სამსახურის წარმომადგენელს. მისი თქმით, შემდგომი კონფლიქტების თავიდან არიდების მიზნით, მოსწავლე გადაიყვანეს სხვა სკოლაში.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე რეგულაცია მშობლის კლასში შესვლასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მამუკა თედიაშვილმა, აღნიშნა, რომ ინციდენტი მოხდა პარასკევ დღეს და ზოგადად, სკოლის შინაგანაწესის თანახმად, პარასკევი დღე იყო მშობლებთან შეხვედრის დღე, თუმცა პირველკლასელ მოსწავლეებს უჭირთ ჩანთების კლასში ატანა და ამ დროსაც ჰქონდათ მშობლებს სკოლაში შესვლის უფლება, მისი თქმით, აღნიშნულ მშობლებს იცნობდნენ დაცვის თანამშრომლებიც და შესაბამისად, არ ჰქონიათ მკაცრი რეაგირება მშობლის სკოლის შენობაში შესვლაზე. საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენი პირველკლასელი ჰყავდა სკოლას. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლაში სწავლობდა დაახლოებით 35 – 40 პირველკლასელი მოსწავლე.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ 2026 წლის 27 მაისის საბჭოზე სკოლას მიეცა რეკომენდაციები და დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ. სკოლის დირექტორმა, მამუკა თედიაშვილმა, აღნიშნა, რომ ყველა რეგულაცია გაიწერა დოკუმენტურად, ასევე, ხდება სკოლაში შესულ პირთა აღრიცხვა. მისი თქმით, არასდროს ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება, თუმცა, სკოლა გეგმავდა არსებული რეგულაციების გამკაცრებას. მშობელი, ვლადიმერ რობაქიძე, სკოლის დირექტორისგან ითხოვდა პასუხს იმ გარემოებაზე, თუ რატომ გაიგო სკოლის სხვა წევრებმა მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ნახსენები პირები წარმოადგენდნენ სკოლის დირექციას და ეს გარემოება იყო საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:52
დასრულების დრო: 17:06

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, სკოლაში უკვე განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, რის საფუძველზეც სკოლას დაეკისრა ვალდებულება 2026 წლის სექტემბერში წარმოედგინა გარკვეული ტიპის დოკუმენტაცია. მონიტორინგის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, სკოლის მიერ ავტორიზაციის სხვა სტანდარტების დარღვევა არ გამოვლენილა, რის შედეგადაც შეწყდა სკოლაში მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, საჩივარში მოხსენიებული მოსწავლე, არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული სკოლის მოსწავლეს. ეკატერინე წიფურიას თქმით, განმეორებით საჩივარში არ იკვეთებოდა ისეთი ახალი გარემოება ან მტკიცებულება, რომელიც წინა მონიტორინგის შედეგად დადგენილ გარემოებას შეცვლიდა ან სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევაზე მიუთითებდა. საბჭოს თავმჯდომარემ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განაცხადა, რომ საბჭომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში განმეორებითი მონიტორინგის განხორციელება, ვინაიდან საკითხი უკვე შესწავლილი ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:10 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე